საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერების შესარჩევი კონკურსის პირობები

სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან ერთობლივი პროექტის „საზოგადოება და არჩევნები“ ფარგლებში, 2016 წლის 1 მარტიდან აცხადებს საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერების შესარჩევ კონკურსს საარჩევნო მიმართულებით შემუშავებული სამოქალაქო განათლების პროგრამების ციკლის განხორციელების მიზნით.

პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში საინფორმაციო-სასწავლო კურსის „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ იმპლემენტაცია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ და მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში განლაგებული საჯარო სკოლების XI-XII კლასის მოსწავლეებისათვის. აღნიშნული კურსის კონცეფცია იხილეთ ბმულზე:
http://electionreforms.ge/files/article_attachments/kon_1162015.pdf

ვაკანსიები:

საინფორმაციო-სასწავლო კურსის „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ განხორციელების პერიოდი: 04.04.2016 – 06.05.2016				
N	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	სკოლების რაო-ბა	ვაკანსია
1	ქვემო ქართლი	გარდაბანი	3	1
		დმანისი	2	1
		რუსთავი	3	1
		წალკა	3	1
		მარნეული	6	2
		ბოლნისი	3	1
		თეთრიწყარო	2	1
2	მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა	2	1
3	სამცხე-ჯავახეთი	ახალქალაქი	5	2
		ახალციხე	3	1
		ნინოწმინდა	3	1
4	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	ამბროლაური	3	1
		ლენტეხი	2	1
		ონი	2	1
		ცაგერი	3	1
5	სამეგრელო-ზემო სვანეთი	მესტია	4	1
6	კახეთი	ლაგოდეხი	2	1
		თელავი	3	1
		საგარეჯო	3	1
7	აჭარა	ქედა	4	1
		შუახევი	6	2
		ხულო	8	2

ყურადღება!

- კონკურსანტი უფლებამოსილია განაცხადი შემოიტანოს მხოლოდ ერთ ვაკანსიაზე (შესაბამისი მუნიციპალიტეტის მითითებით). აღნიშნული პირობის დარღვევის შემთხვევაში კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ განიხილება.
- საჭიროების შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია კონკურსანტს, მისი თანხმობის საფუძველზე, შესთავაზოს ტრენერის საქმიანობის განხორციელება მის მიერ განაცხადში მითითებული მუნიციპალიტეტის ნაცვლად სხვა არეალში.

კონკურსის პროგრამა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

<u>სავალდებულო:</u>

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (MS Office Word, MS Office Excel, MS Office Powerpoint, Web Services (ინტერნეტი);

გ) ინფორმაციის ზეპირი გადმოცემის, ლოგიკური აზროვნებისა და კომუნიკაბელურობის უნარი.

<u>სასურველი:</u>

ა) ტრენერად ან/და პედაგოგად მუშაობის გამოცდილება;

ბ) საარჩევნო ადმინისტრაციაში ან/და საარჩევნო სფეროში მუშაობის სხვა პრაქტიკული გამოცდილება;

გ) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი;

დ) საარჩევნო სფეროში BRIDGE-ის სერტიფიკატი;

ე) ეთნიკური უმცირებების ენის ცოდნა (ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონში ტრენინგის ჩატარების უზრუნველსაყოფად).

წარსადგენი საკონკურსო დოკუმენტაცია:

<u>სავალდებულო:</u>

ა) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ (ცხრილის შესაბამისად):

განაცხადი				
კონკურსანტის სახელი, გვარი:	მისამართი:	ტელეფონი:	ელ. ფოსტა:	ვაკანსია, სადაც კონკურსანტს შემოაქვს განაცხადი **(მიეთითოს მხოლოდ ერთი მუნიციპალიტეტის დასახელება)**

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) დიპლომის ასლი;

ე) ფერადი ფოტოსურათი ზომით 3X4.

სასურველი:
სხვა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს კონკურსანტის შესაბამისობას სასურველ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

ყურადღება!

- საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება წარმოებს 2016 წლის 1 მარტიდან - 10 მარტის ჩათვლით, ელექტრონული ფორმით, მისამართზე centre@electionreforms.ge;
- არასრულყოფილად ან/და დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება.

კონკურსის ფორმა:

ა) კონკურსანტების შერჩევა, რომლებიც ირიცხებიან საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა ერთიან ბაზაში, განხორციელდება მხოლოდ მათ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე;

ბ) კონკურსანტების შერჩევა, რომლებიც არ ირიცხებიან საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა ერთიან ბაზაში, განხორციელდება ორ ეტაპად: 1) მათ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებისა და 2) შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრების საფუძველზე.

ყურადღება!

კონკურსის შედეგად შერჩეული პირი, მის მიერ ტრენერის საქმიანობის განხორციელების პერიოდში უნდა იყოს დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი. ტრენერმა თავი უნდა აარიდოს ისეთ მოქმედებას, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნას რომელიმე პარტიის მხარდაჭერად/წინააღმდეგ ქმედებად. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს ტრენერისათვის ხელშეკრულების შეწყვეტას.

კონკურსის გრაფიკი:

- კონკურსის გამოცხადება: 1 მარტი, 2016 წელი;
- საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის ვადა: 1 მარტიდან - 10 მარტის ჩათვლით, 2016 წელი;
- საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა: 14 – 21 მარტი, 2016 წელი;
- გასაუბრება: 23-25 მარტი, 2016 წელი;
- კონკურსის შედეგები: 25 მარტი, 2016 წელი.

შენიშვნა:

- კონკურსანტებს კონკურსის შედეგები ეცნობებათ მათ ელექტრონულ მისამართზე შეტყობინების გაგზავნის ფორმით. ინფორმაცია შერჩეული კანდიდატების შესახებ აგრეთვე განთავსდება სწავლების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.electionreforms.ge
- სასწავლო კურსის განხორციელებამდე კონკურსის შედეგად შერჩეული ტრენერები გაივლიან მოსამზადებელ კურსს, რომლის განხორციელების პერიოდია 2016 წლის 28-30 მარტი (კურსის გავლა სავალდებულოა. აღნიშნული ღონისძიება გაიმართება თბილისში, მასში მონაწილეობის მიღების მიზნით მგზავრობის ხარჯი ანაზღაურდება თავად მონაწილის მიერ).
- კონკურსის საფუძველზე შერჩეული კანდიდატურები ჩაირიცხებიან საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა ბაზაში ან სარეზერვო სიაში და აღნიშნული საკადრო რესურსის გამოყენება სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ შესაძლებელია მოხდეს ასევე სხვა საინფორმაციო-სასწავლო პროგრამების განსახორციელებლად.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 261 21 11; 598 45 25 96